



1506/3-114/22 2 18022022

1506/3-114/22

18-02-2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს, ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ელი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვებით:

1. სავარაუდოდ რა რაოდენობის სამედიცინო ნარჩენები წარმოიქმნება საქართველოში ყოველწლიურად ?
2. საქართველოს ბაზარზე არსებული რომელი კომპანიები ამუშავებენ სამედიცინო ნარჩენებს ?
3. რომელი სამართლებრივი აქტების შესაბამისად რეგულირდება სამედიცინო ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება ?
4. როგორია სამედიცინო ნარჩენების გადამუშავების სავარაუდო თვითღირებულება და რა ხარჯები შედის სამედიცინო ნარჩენების გადამუშავების თვითღირებულებაში?
5. რა რაოდენობის სამედიცინო ნარჩენები წარმოიქმნება ყოველწლიურად ვეტერინარულ კლინიკებში ?
6. რა რაოდენობის ნარჩენები წარმოიქმნება ყოველწლიურად ცხოველების დაძინების შედეგად და როგორ და რა სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით ხდება მათი დამუშავება და რა ხარჯებთან არის დაკავშირებული ?

გთხოვთ, სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფს - ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტსა და სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოს“ დაავალოთ ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხების წარმოდგენა

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხატია წილოსანი



საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2652/01
18/03/2022

2652-01-2-202203181402



საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ხატია წილოსანს

ქალბატონო ხატია,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 18 თებერვლის N1506/3-114/22 წერილი, სამედიცინო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ სამედიცინო ნარჩენების მართვაზე ვრცელდება ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნები. ნარჩენების მართვის კოდექსი განსაზღვრავს ძირითად მოთხოვნებს და ვალდებულებებს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. მათ შორის, კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება სამედიცინო ნარჩენებზე. ამასთან ერთად, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის N294 დადგენილებით დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტი - სამედიცინო ნარჩენების მართვის შესახებ.

ამასთან, ნარჩენების დამუშავება, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა, ნარჩენების მართვის კოდექსისა და გარემოსდაცვით შეფასების კოდექსის თანახმად, ექვემდებარება გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი ნარჩენების ანგარიშგების მონაცემების თანახმად, 2021 წელს შეგროვდა და გადამუშავდა 2000 ტონაზე მეტი სამედიცინო ნარჩენი. რაც შეეხება, სამედიცინო ნარჩენების გადამუშავების სავარაუდო თვითღირებულების საკითხს, აღნიშნულის შესახებ სამინისტრო ინფორმაციას არ ფლობს.

აგრეთვე, დანართის სახით გიგზავნით სამედიცინო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიების ნუსხას და სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოს მიერ მომზადებულ წერილის ასლს.

იხ.დანართი: 2 (ორი) ფაილი.

პატივისცემით,

სოლომონ პავლიაშვილი

მინისტრის მოადგილე





საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/1289
04/03/2022

1289-09-2-202203041327



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ნინო წილოსანის 1506/3-114/22 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის N345 დადგენილების პირველი მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ბიზნესოპერატორი ვალდებულია, ნარჩენების მართვა უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის მე-3 მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, სამედიცინო ნარჩენებს ასევე წარმოადგენს ვეტერინარული კლინიკების ნარჩენები.

ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულებამ სამედიცინო ნარჩენების შეგროვება და სეპარირება უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის (საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის დადგენილება N294 - ტექნიკური რეგლამენტის „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ) შესაბამისად და დასამუშავებლად გადასცეს ისეთ ობიექტს, რომელსაც მიღებული აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ან გავლილი აქვს რეგისტრაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი -ნარჩენების მართვის კოდექსის მე-6 მუხლის „ე“ პუნქტი). ვეტერინარული კლინიკების ინსპექტირებისას პასუხისმგებელი პირები ამოწმებენ ვეტერინარული კლინიკის ხელშეკრულებას იმ ობიექტთან, რომელიც ახორციელებს ნარჩენების მართვას და არის დარეგისტრირებული შესაბამის რეესტრში.

სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი იღებს ინფორმაციას სამედიცინო ნარჩენების და ევთანაზიის შემდეგ წარმოქმნილი ცხოველური ნარჩენების რაოდენობის შესახებ.

რაც შეეხება ვეტერინარული ღონისძიებების შედეგად მორჩენილი და განადგურებული ნარჩენების რაოდენობასა და ღირებულებას, სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით, **2019-2021 წლებში** განადგურდა ვაქცინებისა და სადეზინფექციო საშუალებების ცარიელი ფლაკონები და საყურე ნიშნები - სულ 26 218 კგ (ღირებულება 55 078 ლარი).

ზურაბ ჩეკურაშვილი



სააგენტოს უფროსი





1507/3-114/22 2 18022022

1507/3-114/22

18-02-2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს,
ბატონ ზურაბ აზარაშვილს

ბატონო ზურაბ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ელი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვებით:

1. სავარაუდოდ რა რაოდენობის სამედიცინო ნარჩენები წარმოიქმნება საქართველოში ყოველწლიურად ?
2. საქართველოს ბაზარზე არსებული რომელი კომპანიები ამუშავებენ სამედიცინო ნარჩენებს ?
3. რომელი სამართლებრივი აქტების შესაბამისად რეგულირდება სამედიცინო ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება ?
4. როგორია სამედიცინო ნარჩენების გადამუშავების სავარაუდო თვითღირებულება და რა ხარჯები შედის სამედიცინო ნარჩენების გადამუშავების თვითღირებულებაში ?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხატია წილოსანი



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030136259047522

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/7542

14 / მარტი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ხატია წილოსანს

ქალბატონო ხატია,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 18 თებერვლის № 1507/3-114/22 წერილი სამედიცინო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ სამედიცინო დაწესებულებებში ნარჩენების მართვა რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებით:

- ტექნიკური რეგლამენტის - „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისი №294 დადგენილება;
- „ინფექციის კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში“- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული გაიდლაინები (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 15 სექტემბრის №01-455/თ ბრძანება.

კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების აღმინისტრირება კი ხორციელდება დოკუმენტებით:

- „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილება;
- „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილება;
- „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციების კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 8 სექტემბრის №01-100/ნ ბრძანება.

რაც შეეხება სამედიცინო ნარჩენების თვითღირებულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სახელმწიფოს მიერ ხდება სამედიცინო მომსახურების/საქონლის შესყიდვა, რომელიც ითვალისწინებს სერვისის მთლიან ღირებულებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ ყოველწლიურად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობას და სამედიცინო ნარჩენების გადამუშავების უფლების მქონე დაწესებულებების ჩამონათვალთან დაკავშირებულ საკითხები სცილდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს, რადგანაც წარმოადგენს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე მარეგულირებელი კანონმდებლობის რეგულირებისა და, შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციის სფეროს.

პატივისცემით,

